



**ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
დადგენილება N235**

8 თებერვალი 2021 წ.

ქ. რუსთავი

“შიდასაქალაქო მუნიციპალური ტრანსპორტისათვის (M3 კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 17 დეკემბრის N212 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 20-ე მუხლის შესაბამისად ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

“შიდასაქალაქო მუნიციპალური ტრანსპორტისათვის (M3 კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 17 დეკემბრის N212 დადგენილების (www.matsne.gov.ge; 20/12/2013; სარეგისტრაციო კოდი 010250020.35.160.016195) პირველ მუხლში შეტანილ იქნეს ცვლილება და პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 1.

დამტკიცდეს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით შიდასაქალაქო მუნიციპალური ტრანსპორტის (M3 კატეგორია) მარშრუტები დანართის შესაბამისად.“

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ლევანი ონიანი